ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



90 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №3 (7102) 1 თებერვალი 2024 წელი

ახალი, 2024 წლის ყველაზე საზეიმო დღეების პირველი თვე დასრულდა...

2024 წლის კალენდარზე გადაიფურცლა ახალი წლის პირველი და ყველაზე საზეიმო თვის, იანვრის ბოლო დღე.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ წინასაახალწლო, ახალი წლის და შემდგომ დღეებში, თერჯოლის თვითმმართველობამ—მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ, ყველა გასულ წელთან შედარებით, შეძლეს მეტი გაეკეთებინათ მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში საახალწლო განწყობის შესაქმნელად.

თერჯოლელთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის მეხსიერებაში დიდხანს დარჩება კარგად ორგანიზებული ის საზეიმო მრავალრიცხოვანი ღონისძიებები, რომლებიც გაიმართა, როგორც ქალაქ თერჯოლაში, ისე მის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ცალკეულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. თუ თერჯოლელთა შეფასებით ვიმსჯელებთ, მათ ძალზე კარგად მიიღეს ის სიახლეები, რომლითაც გამოირჩეოდა წლევანდელი საახალწლო ღონისძიებები.

ამდენად, იმედია სამომავლო საახალწლო პროგრამებში, უდავოდ დაიმკვიდრებს ადგილს, როგორც თოვლის ბაბუების და მშვენიერი ელფების ნობათებით გამოჩენა თერჯოლის ქუჩებში, ისე ქრისტეშობის დღეს, ალილოს ხალხმრავალი მსვლელობა და საჩუქრების შეგროვება, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა როგორც მის მონაწილეებზე, ისე მნახველებზე.

იხილეთ ფოტოკოლაჟი „სიხარულითა და იმედით სავსე სახეები“ (გვ.8).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე
7 იანვარი—ქრისტეშობა, 2024 წელი

უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2024 წლის საშობაო ეპისტოლეს გთავაზობთ გაზეთის მესამე გვერდზე. ამჯერად გაგაცნობთ მის პირველ ნაწილს, რომელიც ეძღვნება ქრისტეშობამდელ პერიოდს და ქრისტეს შობას. ეპისტოლეს მეორე ნაწილს კი, რომელიც ეხება ქრისტიანული სარწმუნოების უდიდეს წვლილს მსოფლიო ისტორიაში, „თერჯოლის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

8 თებერვალს დავითობაა!

8 თებერვალს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, სრულიად საქართველო წმინდანად შერაცხული მეფის, დავით IV აღმაშენებლის ხსენების დღეს აღნიშნავს. დავით აღმაშენებლის სახელს ქვეყნის გაერთიანება და აღმშენებლობა, დიდი საბრძოლო გამარჯვებები, ქვეყნის ძლიერების სიმბოლოდ ქცეული დიდგორი უკავშირდება.

ნიშანდობლივია, რომ 1918 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული სახელმწიფო უნივერსიტეტი—ევროპული ტიპის უმაღლესი სკოლა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამები

„თერჯოლის“ დღევანდელ ნომერში ვიწყებთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამების გამოქვეყნებას, რომლებიც მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე დაამტკიცა.

დამტკიცებული 14 სოციალური პროგრამიდან დღევანდელი გაზეთის მე-4, 5, 6 გვერდებზე გთავაზობთ ცხრა პროგრამას, დანარჩენს კი ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში გაეცნობით.

გადაწყვეტილებას იღებს მოსახლეობა
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“—2024

☞2

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ახალი კონკურსის პირველი გამარჯვებულები

„საახალწლო სივრცე ჩემს ქალაქში“—ასე ეწოდებოდა კონკურს, რომელიც საახალწლოდ პირველად გამოაცხადა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ.

კერძო სკოლა „მზეკაბანს“, ესთეტიკის ცენტრ „სოფიანას“ და მერი კუპატაძეს ფულადი პრიზები და სპეციალური სიგელები გადაეცათ.

მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით გამოცხადებული კონკურსის ჟიურის წევრებმა, 3 ყველაზე საუკეთესო საახალწლო სივრცე ადგილზე გასვლით მოინახულეს და შეაფასეს. გამარჯვებულები—კი მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ დააჯილდოვა.

კონკურსში სულ 15 მონაწილე ჩაერთო, რომლებმაც კონკურსის მთავარი პირობა სრულად გაითვალისწინეს და საახალწლოდ ორიგინალურად მორთული და გაფორმებული საცხოვრებელი სახლები, კორპუსები, აივნები, ეზოები და ორგანიზაციები წარმოადგინეს.

აქტივობაში ჩართულ ყველა წევრს, მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ მადლობა გადაუხადა და მომავალში წარმატებები უსურვა, რჩეული ნამუშევრების ავტორებს კი გამარჯვება მიულოცა.

დაჯილდოების ცერემონიას მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძე, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო მურადაშვილი, მერიის სამსახურების ხელმძღვანელები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ახალი წელი ახალი წყალსადენით

სოფელ ახალთერჯოლას წყალი უკვე 24 საათიანი რეჟიმით მიეწოდება.

მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან ერთად ახალთერჯოლაში, რამდენიმე ოჯახი მოინახულა, სადაც გამრიცხველიანების პროცესის დასრულების შემდეგ, წყალი პირველად შევიდა.

თერჯოლის მერის განცხადებით, სოფელ ახალთერჯოლაში, წყალმომარაგების სისტემით 546 ოჯახი ისარგებლებს და მათ წყლის უწყვეტი და ხარისხიანი მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა ექნებათ.

პროექტის ფარგლებში, წყლის ცენტრალურ რეზერვუარს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მოეწყო მიმწოდებელი მაგისტრალები და საქლორატორო.

სასმელი წყლის ცენტრალური ქსელის მოწყობა რგფ- დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა.

შეხვედრას სიქთარვისა და ახალთერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ჯემალ ისაკაძე, საკრებულოს წევრი ბიძინა ბუცხრიკიძე, ასევე ახალთერჯოლის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი, გრიგოლ კუბლაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამუშაოები აპრილში დასრულდება

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. მანუჩარ რობაქიძე სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნო.

საგანმანათლებლო დაწესებულების შენობის პირველ სართულზე განთავსებული ოთახების რეაბილიტაცია ნაწილობრივ დასრულებულია, სარემონტო პროცესი აქტიურად მიმდინარეობს მეორე სართულზე.

პროექტი რგფ-იდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, კეთილმოწყობის სამუშოებს კი შპს „იდეამშენი“ აწარმოებს.

პროექტის ფარგლებში სრულად მოეწყობა მუნიციპალური ცენტრის შიდა სივრცე, კეთილმოეწყობა სცენა, მოხდება ახალი ,თანამედროვე ტიპის განათების, კონდიცირების სისტემის და სველი წერტილების დამონტაჟება. ასევე სრულად შეიცვლება ინვენტარი, დარბაზში განთავსდება ახალი სავარძლები.

განახლებული და რეაბილიტირებული მუნიციპალური ცენტრი, დადგენილი ვადების მიხედვით, აპრილის თვეში გაიხსნება და მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც 600-მდე ახალგაზრდა სწავლობს, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ შენობაში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

შეხვედრას თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო მურადაშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ბაზაძე, მერის წარმომადგენელი თერჯოლაში კოტე ძოწენიძე, ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ოქრუაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გადაწყვეტილებას იღებს მოსახლეობა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“—2024

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჩართულობით, ახალი—2024 წლის პირველ თვეშივე დაიწყო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესარჩევი კრებები, შეხვედრები და კონსულტაციები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობასთან.



25 იანვარს პირვლი ასეთი შეხვედრა გოდოგანის თემში გაიმართა, რომელსაც ამ თემის ოთხი სოფლის (გოდოგანი, ნაგარევი, ბროლისქედი, ჭალასთავი) წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კრების მუშაობაში მუნიციპალიტეტის მერთან, მანუჩარ რობაქიძესთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს მერის მოადგილეებმა ზვიად ბაზაძემ, მირზა ქოჩიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა დავით გოგბერაშვილმა და ჯემალ ისაკაძემ, მერიის სამსახურების ხელმძღვანელებმა, თემის დეპუტატმა მუნიციპალიტეტის საკრებულოში გიგა გიორგაძემ, მერის წარმომადგენელმა გოდოგნის თემში გურამ ცირეკიძემ.

იმავე დღესვე მოსახლეობასთან შეხვედრები ასევე ჩატარდა ჭოგნარის, კვახჭირის, ნახშირღელის და ქვ. სიმონეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

26, 29, 30 დ 31 იანვარს კი ინფრასტრუქტურული პროექტების შესარჩევი კრებები მუნიციპალიტეტის ყველა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა.

კრებებს. ადმინისტრაციულ ერთეულებში. პრაქტიკულად უცვლელი შემადგენლობით ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, რომლებსაც ადგილებზე უერთდებოდნენ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები და მერის წარმომადგენლები.

მკითხველს შევახსენებთ, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შერჩეული სამუშაოების დასაფინანსებლად, მუნიციპალიტეტს სულ გამოყოფილი აქვს 690 000 ლარი, რომელიც კომლების რაოდენობის შესაბამისად ნაწილდება მუნიციპალიტეტის სოფლებზე.

როგორც ჩატარებულმა კრებებმა აჩვენა, მოსახლეობა გამოკვეთილად აქტიურია სოფლის საჭიროებების გადაწყვეტის საქმეში. კარგად გამოჩნდთა მათი მზაობა, რომ პირადად ჩაერთონ ცალკეული სამუშაოების შესრულებაში. ისინი კმაყოფილებით გამოეხმაურნენ მუნიციპალიტეტის მერის ნოვაციურ წინადადებას, როცა გამოყოფილი სახსრები ვერ წვდება აუცილებლად შესასრულებელ საქმეს, კერძოდ კი სასოფლო გზების რთული უბნები ბეტონის საფარით მოწყობას. ამ შემთხვევაში მერია საკუთარი შემოსავლებით იძენს ბეტონის ნარევს და არმირებისათვის საჭირო მავთულბადეს, ხოლო მოსახლეობა პირადად აგებს ახალ საფარს.

ხაზგასასმელია, რომ მოსახლეობასთან ამ შეხვედრებზე საკმაოდ ბევრ მოსაგვარებელ საკითხებზე იყო მსჯელობა. უმეტესი მათგანი ადგილზევე გადაწყდა, ზოგიც დამუშავება-შესწავლის პროცესს გაივლის, ზოგიც კი ალბათ სამომავლოდ გადაიწევს.

ხაზგასასმელია კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი—სასოფლო კრებებზე, მოსახლეობის მიერ წინადადებებთან ერთად, არაერთჯერ გაისმა მადლობის სიტყვები მუნიციპალიტეტის მერიის, პირადად მერის, მანუჩარ რობაქიძის მისამართით, რასაც მერი მადლობით ღებულობდა და იქვე ამბობდა: **„წინადადებები განვიხილოთ ერთად, ვიმსჯელოთ, მივიღოთ გადაწყვეტილება. ჩვენი დაპირება არ იქნება ფუჭი, რაზედაც შევთანხმდებით, ის აუცილებლად გაკეთდება“**.

სასოფლო კრებებზე გამოთქმული მოსაზრებების საბოლოო გარიანტი, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერია მოამზადებს, სავარაუდოდ მალევე წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად, რომელსაც შემდეგ ჩვენი გაზეთის საშუალებით გაგაცნობთ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

7 იანვარი—ქრისტეშობა, 2024 წელი

„იხარებდით მართალნი, მხიარულ იყვენით ცანი, იმღერდით მთანი, მეუფე იშვა, ქრისტე, ქალაქსა დავითისსა, ბეთლემს ჰურიასტანისასა“

(უძველესი იადგარი)

„მოვედით ერნო, რათა მადლიერებით მოვიხსენოთ ადამიდან დღემდე ყველა, ვინც სათნო ეყო ღმერთს, - წმინდა მამანი და დედანი, ის ოჯახები, რომელთა მემკვიდრეობაშიც ინება უფალმა განხორციელება, მოვიხსენოთ წმინდანები, რომელთაც წინასწარ გვიქადაგეს ღვთის სიტყვის ხორცშესხმა და ის უცნობი მოძღვარნი და ერისკაცნი, რომელნიც ქრისტეს მოსვლის მოლოდინს სასოებით გადასცემდნენ თაობებს“.

ესენი ძირითადად იყვნენ იმ პერიოდის მსოფლიოში ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი ერთადერთი ერის, ისრაელის, შვილნი. მართალია, იშვიათად სხვა ხალხებშიც არსებობდნენ სულიერებით გამორჩეული პიროვნებები, მაგრამ მხოლოდ ამ წიაღმა შეძლო უწყვეტად შეენარჩუნებინა კავშირი ღმერთთან და ჩირაღდნად ქცეულიყო მთელი წარმართული კაცობრიობისთვის; იმ კაცობრიობისათვის, რომელმაც არაერთი ცივილიზაცია შექმნა და რომელსაც საოცარი მიღწევები ჰქონდა ფილოსოფიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მწერლობაში, ხელოვნებაში...

მაინც რით შეძლო, ერთი შეხედვით, უბრალო ერმა გამორჩეული ყოფილიყო ასურეთის, ბაბილონის, სპარსეთის, ეგვიპტის, კრეტა-მიკენის, ბერძენთა, რომაელთა და სხვა იმპერიებთან შედარებით?

ამ იმპერიებში დაკარგული იყო უმთავრესი, - ჭეშმარიტი ღვთის ცოდნა. ამა თუ იმ სფეროში გამოვლენილი დიდი განვითარების მიუხედავად, წარმართული საზოგადოება უდიდესწილად იყო ძალადობრივი, ჩაგვრითი, ეგოცენტრული, თავის თავზე ორიენტირებული.

ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ ძლიერი ხელისუფალი თუ პიროვნება იმონებდა სუსტს; იმპერატორებს სხვათა ტერიტორიებისა და მათი ძალაუფლების ხელში ჩაგდების დაუოკებელი სურვილი ამოძრავებდათ; იყო გაუთავებელი ომები, შური, ღალატი, ვერცხლისმოყვარეობა, აღვირახსნილი ცხოვრება და გაუკუღმართებული ურთიერთობები; ადამიანის ღირსება - გათელილი და გაუფასურებული, დაბალი ფენის მამაკაცები და, განსაკუთრებით, ქალები - მოხმარების საგნად ქცეულნი.

ყოველივე ამას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ წარმართული „ღმერთებიც“ მიწიერნი იყვნენ, რომელთათვისაც, უცხო არ იყო ადამიანური ვნებანი. სულიერი ხსნა კი არსად ჩანდა და სიცოცხლესაც არ ჰქონდა აზრი.

ასეთ მძიმე გარემოში, მართალია, დიდი დაცემებით, მაგრამ მაინც ახერხებდა იაკობის მოდგმა თავის წიაღში დაეცვა ცხოვრების საღვთო, სარწმუნოებრივი წესი, მოყვასის სიყვარული, შეენარჩუნებინა მესიის მოსვლის მოლოდინი, მოლოდინი გადარჩენისა და განცდა იმისა, რომ ამქვეყნადაც ყველაფერი და თვით სამეფო საყდარიც ზეციურ უფალს უნდა ეკუთვნოდეს და იგი უნდა იყოს ერის წინამძღოლი; რომ ხელისუფალნიც, მოძღვარნიც, წარჩინებულნიც და რიგითი მოქალაქენიც, - თავისი მოვალეობისამებრ, მის ნებას უნდა აღასრულებდნენ.

ეს ყოველივე მთელი სისავსით მეფეთა შორის ყველაზე ნათლად წმინდა დავით წინასწარმეტყველს ჰქონდა გაცნობიერებული.

როდესაც იგი შაბათობით აღთქმის კიდობნის წინ ლოცვად დგებოდა, სამღვდელოებისა და ერის წინაშე ხმამაღლა შეჰღაღადებდა ხოლმე შემოქმედს:

„შენი მეფობა (ღმერთო), მეფობაა ყველა საუკუნეზე და შენი სუფევაა ყველა თაობაზე“ (ფს.144,13) „უფალს ეკუთვნის მეფობა და ის არის ხალხთა მბრძანებელი“ (ფს.21,29) და სხვ.

მან ეს ლოცვები, რომლებიც ზეციური მეუფისა და მისი სასუფევლისადმი იყო მიმართული, სავალდებულოდ დაუწესა თავის შთამომავალ მეფეებსაც და ხალხსაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ საუკუნეთა მანძილზე რომელ ქვეყანასაც ისრაელის მცირერიცხოვან ერთან ჰქონდა შეხება, თუნდაც იგი დამპყრობელი ყოფილიყო, ისრაელი ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებლობით მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მასზე და საყოველთაო გადარჩენის მოლოდინს აღვიძებდა ყველაში.

შეგახსენებთ ერთ მონაკვეთს ბაბილონის ცნობილი მეფის ცხოვრებიდან:

ბაბილონის იმპერიის ზეობის პერიოდში მას ნაბუქოდონოსორი განაგებდა. მან მრავალი სამეფო დაიმორჩილა, მათ შორის, იუდეაც და დაპყრობილი ქვეყნებიდან მძევლად წაიყვანა ხელისუფალთა შვილები და ნიჭიერი ახალგაზრდები. ყმაწვილებს შორის იყო დანიელიც იუდეადან, - წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდოებული, გონიერი, მოსეს სჯულის მტკიცე დამცველი ჭაბუკი.

ერთხელ ნაბუქოდონოსორმა უცნაური და მრავლისმთქმელი სიზმარი ნახა. შეძრწუნებულს გამოეღვიძა და მის ასახსნელად თავისი სამფლობელოს ყველა მისანს, ქურუმს, მოგვსა და ვარსკვლავთმრიცხველს უხმო. უნდოდა, მათგან სიმართლე მოესმინა, ამიტომაც, მეტად უცნაური რამ მოსთხოვა: მათ უნდა გამოეცნოთ, თუ რა სიზმარი იხილა მბრძანებელმა, და აეხსნათ მისი მნიშვნელობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას სიკვდილი და სახლ-კარის გადაწვა ემუქრებოდა.

სასახლის შეშინებულმა ბრძენკაცებმა შეჰბედეს მეფეს და უთხრეს: მსგავსი რამ არავის არასდროს მოუთხოვია. თქვენს სურვილს კაცთაგან ვერავინ შეასრულებსო.

ნაბუქოდონოსორმა ყველას წამება ბრძანა.

ვიდრე მისი განკარგულება აღსრულდებოდა, წინასწარმეტყველმა დანიელმა ითხოვა მეფესთან შეხვედრა და, სიკვდილმისჯილთა გათავისუფლების სანაცვლოდ, სიზმრის ახსნა აღუთქვა, რადგან მან და მისმა მეგობრებმა ზეციური ღმერთისგან გამოითხოვეს შემწეობა ამ საიდუმლოს გასაგებად და უფალმაც დანიელს გაუცხადა დაფარული.

ჭაბუკმა უთხრა მეფეს, რომ სიზმრით უფალმა აუწყა იმ დღეთა და ხელმწიფებათა შესახებ, რომლებიც მის შემდეგ იქნებოდნენ. კერძოდ, იხილა დიდი და საოცრად ელვარე, მაგრამ საშინელი შესახედაობის ქანდაკება, კერპი, რომელსაც თავი ოქროსი ჰქონდა, ხელები და მკერდი, - ვერცხლის, მუცელი და თეძოები, - სპილენძის, ხოლო ქვედა კიდურები, - რკინისა და, ნაწილობრივ, თიხის. შორიახლოს იყო მთა, საიდანაც თავისით, ხელისუკვრელად, ლოდი დაგორდა, კერპს რკინისა და თიხის ფეხებზე დაეცა და იგი ერთიანად შემუსრა. შემდეგ ეს ლოდი დიდ მთად იქცა და მთელი დედამიწა აღავსო.

ჭაბუკმა წინასწარმეტყველმა ისიც განუმარტა მბრძანებელს, რომ ნანახი კერპი ოთხი იმპერიის სიმბოლო იყო. ოქროს თავი მას და ბაბილონს განასახიერებდა, დანარჩენები კი, შედარებით ნაკლებნი, იმ იმპერიებს, რომლებიც ბაბილონის შემდეგ აღორძინდებოდნენ (იგულისხმება სპარსეთის, საბერძნეთის, რომის) და რომ მეოთხე იმპერიის ზეობისას ამქვეყნად მოიწეოდა მეუფება მარადიული და ჭეშმარიტი, რომელიც შემუსრავდა ყველა სამეფოს დედამიწაზე, თვითონ კი უკუნისამდე იარსებებდა.

ნაბუქოდონოსორი გაოცებული და შეძრული იყო მოსმენილით. იგი დაემხო მიწაზე და აღმოთქვა: „ჭეშმარიტად, ღმერთთა ღმერთია თქვენი ღმერთი და მეფეთა მეუფე.“ შემდეგ კი დანიელი დანიშნა თავის კარზე მთავარ მრჩევლად.

მართალია, მეფემ აღიარა ძლიერება ჭეშმარიტი ღვთისა, რომლის სიდიადე სხვა დროსაც კიდევ რამდენიმეჯერ იხილა, მაგრამ წინაპრების კერპებს მაინც ვერ განეშორა, თუმც იუდეველთა რწმენის პატივისმცემელი გახდა და აღარ აიძულებდა მათ ბაბილონის პანთეონისთვის ეცათ თაყვანი.

ამ ამბებზე მთელი ბაბილონი საუბრობდა, - ხალხიც, სიკვდილს გადარჩენილი მოგვებიც და სხვა ბრძენნიც ისტორიებს თაობიდან თაობებს გადასცემდნენ.

მათ წინასწარმეტყველ დანიელისგანვე იცოდნენ, რომ ის სიზმრისეული ლოდი შვიდ შვიდათეულში, ანუ 490 წელიწადში განეცხადებოდა სამყაროს; ამიტომაც, როდესაც ეს დრო დადგა და იხილეს უჩვეულო ვარსკვლავი, მოგვებმა იგრძნეს ჟამის მოახლოება; სამეფო ძღვენი, - გუნდრუკი, ოქრო და მური, თანაწარიღეს და ვარსკვლავს გაჰყვნენ დასავლეთისკენ მიგებებად მესიისა.

და მართლაც, ნაბუქოდონოსორის სიზმრის მეოთხე სამეფოს, რომის იმპერიის, ბატონობის პერიოდში, I საუკუნეში, იუდეაში, დავით მეფის ქალაქად წოდებულ ბეთლემში, კაცობრივი ბუნების მიღებით, ადამის მოდგმის გადასარჩენად მოგვევლინა ძე ღვთისა. იგი სიმბოლურად დანიელ წინასწარმეტყველის სიზმრის ლოდია (დან. 2.45), რომელიც თავისთავად მოსწყდა მთას (იგულისხმება მისი უბიწოდ შობა ღვთისმშობლისგან) და დედამიწა აღავსო.

ქვაბულში, პირუტყვის ბაგაში, მწოლი ჩვილი - უფალი იესო ქრისტე საოცარი სიმდაბლით წარუდგა მსოფლიოს, რათა თავისი ხორციელი მყოფობის პირველივე წუთებიდან კაცობრიობისთვის მიეცა მაგალითი თავმდაბლობისა, უბრალოებისა და თავისი ქმნილებისადმი განუზომელი სიყვარულისა.

იესოს ამქვეყნად მობრძანებით, ერთი მხრივ, აღსრულდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება, მეორე მხრივ კი, გარკვეული აზრი მიეცა თვით წინაქრისტიანულ ეპოქათა მიღწევებსაც, რადგან ღმერთთან მარადიული თანამყოფობის შესაძლებლობის მოტანით, აზრი მიეცა სიცოცხლეს; ამასთან, ქრისტეს ეკლესიის სახით, სათავე დაედო მაცხოვნებელ წიაღს, რომელსაც მიწიერი წარმომავლობა არა აქვს, ზეციურია, ღვთისგანაა დაფუძნებული და წარუვალი, თუმცა ამქვეყნად მყოფობს.

მისი წევრი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც სამოთხეში ჩადენილი ცოდვით შებღალულ შემოქმედის ხატებასა და მსგავსებას თავის თავში განაახლებს, ანუ ღვთისა და ადამიანის ჭეშმარიტი სიყვარულით აღვსილი (იგულისხმება ნებისმიერი ადამიანი და არა მხოლოდ თავისი ერის წარმომადგენელი, როგორც ეს ძველ აღთქმაში იყო), ყოვლადწმინდა სამების სახელით მონათლული და აღსარებითა და ზიარებით მასთან დაკავშირებული, მაცხოვრის მცნებებით ახალ ცხოვრებას დაიწყებს.

„არა არს ჰურიაება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება, არა არს გარჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ“ (გალ.3,28), - აი, ყოვლად აღმატებული სწავლება, რომელმაც მახვილივით განკვეთა ძველი სამყარო.

შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი და შეიყვარე მტერიც! შეუნდე მონანულს, „არავის მიაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ, კეთილს ცდილობდეთ ყველა ადამიანის წინაშე; თუ შესაძლებელია, თქვენის მხრივ, ყველა ადამიანთან მშვიდობით იყავით (რომ.12, 17-18).

თუ გსურს პირველობა ან უპირატესად ყოფნა, გახდი ყველას მსახური (ანუ - თავმდაბალი ყველას მიმართ), დაიცავი გულის სიწმინდე, ნუ გააკეთებ სიკეთეს საჩვენებლად და გაეცი მოწყალება უშურველად, სამაგიეროს მიღების სურვილის გარეშე; იცხოვრე სხვისთვის, როგორც ცხოვრობ საკუთარი თავისთვის, ხოლო ვინც შეძლებს თავი გაწიროს სხვისთვის, იგი უმაღლეს სათნოებას მოიპოვებს. – ასეთი რამ მანამდე არ სმენია კაცობრიობას.

ეს იყო მაცხოვრისგან ადამიანთა აზროვნების რადიკალურად შემობრუნების შეთავაზება, შეთავაზება სულ სხვა სიმაღლისა, სულ სხვა დიდებისა; გაცხადება მისთვის ჭეშმარიტი ღვთისა და ჭეშმარიტი ადამიანობისა.

კაცობრიობას ეს რომ გაეცნობიერებინა და თითოეულ ჩვენგანს ამისთვის მიეღწია, იესო გახდა სრული ადამიანი (ცოდვის გარეშე), რათა ჩვენ გავმხდარიყავით მადლით ღმერთნი;

ეს ურთულესი პროცესია და დიდ ძალისხმევას ითხოვს, რადგან ცხოვრების გზაზე ნებისმიერ ადამიანს მრავალი დაბრკოლება ხვდება, მითუმეტეს - მართლმორწმუნეს.

შეიძლება თქვენ დიდ ცოდვაშიც ჩავარდეთ და მძიმე ვითარებაში აღმოჩნდეთ, მაგრამ იცოდეთ, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს!

არასდროს იფიქროთ თვითმკვლელობაზე, არ მისცეთ სულს ამ დამღუპველი სისუსტის დაშვების უფლება. ჩვენ სიცოცხლე იმიტომ მოგვეცა, რომ წარმავალი სიცოცხლიდან მარადიულ სიცოცხლეში გადავინაცვლოთ! გახსოვდეთ, სინანულს უდიდესი ძალა აქვს და მას სასწაულის მოხდენა ძალუძს.

ამიტომაც, არ შეეგუოთ დაცემას და ღვთის იმედი მუდამ გქონდეთ.

გწამდეთ, უფალი ყოველგვარ ტკივილს სიკეთედ და ჩვენი სულიერი წინსვლის საშუალებად აქცევს, თუ ლოცვითა და სინანულით დავითმენთ განსაცდელს და მაცხოვრის სწავლებით წარვემართებით.

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2024 წლის დახმარების პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29240106)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების დახმარების 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: 590 000 (ხუთას ოთხმოცდაათი ათასი ლარი) ლარი. აქედან:

ა) საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, დაზიანდა ხანძრის ან სტიქიის შედეგად, დახმარების ბიუჯეტი განისაზღვროს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით.

ბ) მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის ბიუჯეტი განისაზღვროს 540 000 (ხუთას ორმოცი ათასი) ლარით.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები საჭიროებენ გადაუდებელ შეკეთებას, დაზიანდა სტიქიის და ხანძრის შედეგად, ამასთანავე პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორია:

1. პროგრამის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ყველაზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ სოციალურად გაჭირვებულ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას ან/და დაზიანებულია სტიქიის და ხანძრის შედეგად.

2. პროგრამის პირველი მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის სარგებლობის უფლება აქვთ, ყველაზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს, მათი საცხოვრებელი სახლი დაზიანების ხარისხის მიხედვით საცხოვრებლად უვარგისია და ექვემდებარება დემონტაჟს.

3. იმ ოჯახებს, რომელთაც უნდათ რომ ისარგებლონ პროგრამით არ უნდა გააჩნდეთ სხვა საცხოვრებელი ფართი.

4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქე (ოჯახი) დახმარებას მიიღებს ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე ოჯახებისათვის გასაცემი ფინანსური დახმარებისოდენობა და მისი გაცემის პირობები:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის და საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია;

გ) საცხოვრებელი სახლის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) საცხოვრებელი სახლის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა უძრავი ქონების (დაზიანებული საცხოვრებელი სახლი) ფლობისა და მასში ცხოვრების შესახებ;

ე) საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

ვ) ცნობა საჯარო რეესტრიდან ქონებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს მასშტაბით.

2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და საცხოვრებელი სახლის შეძენის შემთხვევაში განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა საცხოვრებლად უვარგისი სახლის დემონტაჟის შესახებ და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებულ განცხადებას შეისწავლის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ამოწმებს მოქალაქის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას, მოქალაქის ოჯახის სოციალურ პირობებს და ადგენს შესაბამის დასკვნას მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილების (რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მოქალაქისათვის გასაწევი ფინანსური დახმარების ოდენობა) ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. კომისიის დასკვნა შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს, რომელიც კომისიის დასკვნის საფუძველზე ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს მოქალაქისათვის ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

5. ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები მძიმე დაზიანების გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება წელიწადში ერთჯერადად.

6. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლის შეძენა ან/და მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მერიამ კანონით დადგენილი წესით განახორციელოს 45 000 ლარის ფარგლებში.

7. ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენის შემთხვევაში კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეაფასებს სტიქიური მოვლენის შედეგად მიღებულ ზარალს, პროგრამით მოსარგებლე ოჯახებს პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მიეცეს არაუმეტეს 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.

8. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29240109)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 100 000 (ასი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში 300 (სამასი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილების და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ფინანსური ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად სარგებლობენ დიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა (ფორმა 100) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292401011)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: 80 (ოთხმოცი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის კომუნალური გადასახადების გადახდაში ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა) პროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად არიან პირველი ჯგუფის უსინათლოები.

ბ) 18 წლამდე უსინათლო შშმ სტატუსის მქონე უსინათლო ბენეფიციარები.

მუხლი 4. სოციალური დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ფორმა №IV-50/4 (კომისიის დასკვნა) პირველი ჯგუფის უსინათლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

დ) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი და დაბადების მოწმობის ასლი.

მუხლი 5. დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292401016)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 284 000 (ორას ოთხმოცდაოთხი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები:

ა) იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები;

ბ) ობოლ ბავშვთა ოჯახები (18 წლამდე);

გ) სამ და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000);

დ) იშვიათი და ონკოლოგიურ დაავადების მქონე პირთა ოჯახები;

ე) გადაადგილება შეზღუდული შშმ პირთა ოჯახები;

ვ) ვეტერანთა ოჯახები;

ზ) მარტოხელა პირები;

თ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახები;

ი) ოჯახში ძალადობის მსხვერპლი (რომელთა შემოსავალი ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 10 000 ლარს);

კ) სოციალურად დაუცველი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000)

ლ) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები;

მ) დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებული ბენეფიციარები.

მუხლი 4. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა:

1) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების, მარტოხელა პირების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება 100 ლარის ოდენობით წელიწადში ერთჯერადად.

2) ობოლ ბავშვთა ოჯახების (18 წლამდე), შშმ პირთა ოჯახების, ვეტერანთა ოჯახების დახმარება 150 ლარის ოდენობით, ერთჯერადად.

3) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები დაავადების სიმძიმის მიხედვით 100/150 ლარი, სამი და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი) და სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000) დახმარება 150 ლარით, წელიწადში ერთჯერადად.

4) დაუნის სინდრომის, აუტიზმის, იშვიათი დაავადების მქონე და ონკოლოგიურ ბენეფიციართა ოჯახები 200 ლარის ოდენობით, წელიწადში ერთჯერადად.

5) ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახები და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა დახმარება 500 ლარით, წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია:

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავადმყოფობის შემთხვევაში ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100/ა) გაცემული შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

გ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმე მათგანის მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

დ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

ე) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (ოჯახში ძალადობის მსხვერპლის შემთხვევაში).

ვ) სოციალურად დაუცველთა შემთხვევაში ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან.

მუხლი 6. ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას, რეკომენდაციის მომზადების მიზნით, განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292401015)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 300 000 (სამასი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი:

პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დასახელება:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება:

ა) საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო დაზღვევის ფარგლებში განხორციელებული მომსახურება: ოპერაცია, გამოკვლევა;

ბ) საყოველთაო პროგრამით ან კერძო დაზღვევით დაუფინანსებელი ოპერაცია;

გ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება;

2. არ დაფინანსდება:

ა) ესთეტიკური მიზნით ოპერაციები;

ბ) საკეისრო კვეთა;

გ) მკურნალობა.

მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის ასანაზღაურებელი თანხიდან:

ა)1000 ლარამდე თანხის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის 50% ით;

ბ)1000 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით 500 ლარით;

გ) 3000 ლარიდან 5000 მდე 800 ლარით;

დ) 5000 ლარის ზემოთ 1000 ლარით.

2. მოქალაქეების მეორედ მომართვის შემთხვევაში, რომელთა მატერიალური შემოსავალი უფიქსირდება 10 000 ლარი და მეტი დახმარება არ გაეწევათ.

3. მეორედ მომართვიანობის შემთხვევაში ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ცნობის გამოთხოვას შემოსავლების სამსახურიდან (ბოლო ერთი წლის განმავლობაში) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მისი მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი და დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100);

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია,) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, დაუფინანსებელი თანხის მოცულობის ჩვენებით;

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში);

ე) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნი-

ციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმე მათგანის მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში (რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით), საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია;

ვ) კერძო დაზღვევის შემთხვევაში მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს ცნობა საყოველთაო დაზღვევიდან თანხმობის ან უარის შესახებ;

ზ) მეორედ მომართვიანობის შემთხვევაში ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (ბოლო ერთი წლის განმავლობაში);

თ) მინდობით აღზრდის შემთხვევაში მინდობი პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 7. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თანადაფინანსების შესახებ წერილის პროექტს.

2. სამედიცინო მომსახურეობის ღირებულების თანხა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსდება მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება შესრულებული სამუშაოს ღირებულების სრული ნუსხა, რომლის საფუძველზეც გამოიცემა მერის ბრძანება.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292401012)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 2 000 (ორი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში – 70 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

ერთჯერადი კვების ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარებისათვის ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც სარგებლობდნენ ერთჯერადი კვების ობიექტით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292401010)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: პარკინსონით ან ეპილეფსიით დაავადებულ ერთ ბენეფიციარზე 200 (ორასი) ლარი, რომელიც გაიცემა ერთჯერადად.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი:

დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციარების ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტების შეძენის მიზნით მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებული პირები.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა ან ცნობა შშმ პირთა შესახებ.

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

დ) არასრულწლოვანის შემთხვევაში: დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი და განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელით.

ე) შეზღუდული ქმედუნარიანი პირის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის დანიშვნის შესახებ.

მუხლი 5. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29240108)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბენეფიციარის დახმარება თვეში - 150 (ასორმოცდაათი) ლარი, ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარებისათვის თვეში 300 (სამასი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერა და ფენილკეტონურიით დაავადებულთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ფენილკეტონურიით დაავადებულთა სპეციალური კვების პროდუქტების უზრუნველყოფას და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ:

ა) განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელით;

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ;

გ) განმცხადებლის (მშობლის, მეურვის) საბანკო ანგარიში;

დ) დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

ე) სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში;

ვ) სამკურნალო კვების შემთხვევაში, შესაბამისი დაწესებულებიდან კვების შესახებ ანგარიშფაქტურა.

მუხლი 6. დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292401017)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 3000 (სამი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობა (რომელსაც არ ჰყავს ან არ იძებნება პირდაპირი მემკვიდრე დედა, მამა, და/ძმა, მეუღლე, ბაბუა, ბებია, შვილი, გერი, შვილიშვილი).

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლე კატეგორია:

პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის გამღებ მოქალაქეს.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) დაკრძალვის ხარჯის გამღების წერილობითი განცხადება.

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული რეკომენდაცია გარდაცვლილის უპატრონობის შესახებ.

დ) გარდაცვლილის მოწმობა ან ოქმი გარდაცვალების შესახებ.

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში ბანკიდან.

მუხლი 5. დაკრძალვის თანხის ოდენობა:

1. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება განისაზღვროს 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

საახალწლო ნობათი

თემურ კვატაიას ოჯახი არც ახლა და არც წინა წლებში უპოვარი არასოდეს ყოფილა, არც ზედმეტ-თავსაყრელი ჰქონიათ, მაგრამ მაინც, ყოველთვის უყვარდათ ხელის გამარ-

თვა, დახმარება სჩვეოდათ. თემურს მაღაზია აქვს სოფლის ცენტრში, სიქთარველები ხშირად ვსარგებლობთ ამ მაღაზიით, ვყიდულობთ პროდუქტებს, ხან ფულის იქვე გადახდით, ხან ნისიად, ესეც ერთგვარი დახმარებაა, ამას ხელისმონაცვლეობა ჰქვია და გვჭირდება.

სამი შვილი აღიზარდა თემურ და ნატაშა კვატაიების ოჯახში. მშობლებსაც და შვილებსაც უმაღლესი განათლება აქვთ, მუშაობდნენ, ოჯახს აძლიერებდნენ, სოფელს ვერ ელევიან ძმები, ისე, როგორც მათი მშობლები თავის დროზე.

ოჯახის ერთადერთი ქალიშვილი, მშვენიერი მარიამი ოცდახუთი წელია ბელგიაში ცხოვრობს, მეუღლესთან ნესტორ ყაზაიშვილთან და შვილებთან ირაკლისთან და ნიკოლოზთან ერთად. მათ განათლება საზღვარგარეთ მიიღეს, თავიანთი საქმე აქვთ და წარმატებულები არიან, ბატონ ნესტორსაც თავისი ბიზნესი აქვს. ოჯახის ყველა წევრის მზერა საქართველოსკენაა მიმართული, სამშობლოში ხშირად ჩამოდიან, ბელგიაშიც ნამდვილი ქართული ოჯახი აქვთ.

მარინას კარგად იცნობენ ბელგიაში, საინტერესო პროექტებს ანხორციელებს. ერთ-ერთ პროექტს „იოგა-პერსონალური ზრდა განვითარება“ წარმატება ხვდა მრავალ ქვეყანაში. საქართველოში ამ პროექტს თემურის ვაჟი ელიზბარი, რძალი, ჩხარის საჯარო სკოლის პედაგოგი ელა მაგრაქველიძე და რა თქმა უნდა მარიამი ანხორციელებენ ონლაინ რეჟიმში. ამ პროექტით ისინი ეხმარებიან ადამიანებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, სულიერი ცხოვრების გაუმჯობესებაში, ჯანმრთელობაში და ცხოვრების ბევრ სფეროში.

წარმატებით და მოგებით დაამთავრეს 2023 წელი, დაუგროვდათ კვატაიებს შემოსავლები და გადაწყვიტეს მისი გარკვეული ნაწილი სიქთარველებს მოახმარონ. თემურის თქმით არა იმიტომ, რომ ვინმეს ძალიან უჭირს, არამედ იმ პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად, რომელიც ამ ადამიანებთან აქვთ: სამეგობრო წრე, ყოფილი პედაგოგები, ახლო მეზობლები.

ახალი წლის დღეებში თემურ და ნატაშა კვატაიებმა საკუთარი ხელით დაარიგეს საახალწლო ნობათი ათ ოჯახში, ოჯახის რძალმა ელამ კი ხუთ ოჯახში. ნობათის მიმღებმა ადამიანებმა დამავალეს საჯაროდ მეთქვა მადლობა ამ კეთილისმყოფელ ოჯახზე, მადლობას ეუბნებიან თემურს და ნატაშას კარგი შვილების გაზრდისათვის. ეს იყო საახალწლო საჩუქარი ათეულზე მეტი დასახელების პროდუქტზე, კალათაში იდო ყველაფერი აუცილებელი „მეტი რომ არაფერი გქონოდა ახალ წელს ამ პროდუქტებით გაითენებდიო“—თქვეს.

კარგია, როცა გაქვს მატერიალური შესაძლებლობა დაეხმარო სხვას, მაგრამ შესაძლებლობასთან ერთად აუცილებელია შეგეძლოს გაცემა, გქონდეს ნიჭი, ფიქრობდე სხვაზე, სხვის კეთილდღეობაზე და უხაროდათ: თემურს, ნატაშას, ელას, ელიზბარს, ავთანდილს, მანანას, შვილიშვილებს ირაკლის, ანას, მარის, ელენეს, ნატალის, ივას. ისინი ერთად აწყობდნენ ნობათს თხუთმეტ კალათაში.

ნათლისღება

აღინიშნება 19 იანვარს—უძრავია

როდესაც იესო ქრისტეს შეუსრულდა 30 წელი, ის წავიდა იორდანეზე იოანე ნათლისმცემელთან, რათა მონათლულიყო და იოანემ მონათლა იგი. როდესაც იესო ქრისტე ამოვიდა წყლიდან, გაიხსნა მის თავზე ცა, ღვთის სული მტრედის სახით გადმოვიდა მასზე და ციდან მოისმა ხმა მამა ღმერთისა „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ“ (მათე 13, 17).

მონათვლის მერე იესო ქრისტე წავიდა უდაბნოში და ლოცვაში გაატარა ორმოცი დღე. ამ ხნის განმავლობაში მას არ უჭამია არავითარი საჭმელი.

მაცხოვრის ორმოცდღიანი მარხვის აღსანიშნავად დადგენილია დიდი მარხვა, აღდგომის წინ. ქრისტეს შემდეგ ნათლობას ახდენდნენ ქრისტეს მოციქულები, წმინდა ეკლესია მოციქულების შემდეგ განუწყვეტლივ ასრულებს მაცხოვრის მიერ განმტკიცებულ ამ საიდუმლოს.

ნათლისღებას ხდება წყლის კურთხევა.

პატრიარქის ნათლულები

სულიწმინდის ნიჭი მიიღო და საქართველოს პატრიარქის მიერ მონათლულია ათიათასობით ქართველი. პატრიარქის ნათლულები თერჯოლაშიც არიან.

კონსტანტინე და ცოტნე კუბლაშვილები

„პატრიარქის ტახტის მცველები“

ეს პატრიარქის ნათლულების სტატუსია. კონსტანტინე კუბლაშვილი, ღვანკითის საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეა, ცოტნე მე-2 კლასშია, ძმები კარგად სწავლობენ, გაცნობიერებული აქვთ რას ნიშნავს ნათლობა და პატრიარქის ნათლულობა, ისინი დადიან ტაძრებში, ჰყავთ მოძღვარი.

პატრიარქის დალოცვა და ვედრება ღმრთისადმი

ღმერთო ძლიერო, ყოვლადწმინდაო სამებაო, დალოცე და ჩვენი ქვეყნის ერთგულ შვილად აღზარდე ნათლულები ჩემი კონსტანტინე და ცოტნე, მიანიჭე მათ სიყვარული შენი და მოყვასისა. მიმადლე მრავალჟამიერი სიცოცხლე და სიბრძნე, სიმრთელე სულისა და ხორცისა, გული წმიდა და სული წრფელი, განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა თვისისა, მიეც თავმდაბლობა და სიმშვიდე, შრომისმოყვარეობა და ერთგულება, მტკიცე და მრავალშვილიანი ოჯახი, და პატივისცემა მშობელთა, რათა კეთილი ეყოს და დღეგრძელი იყოს იგი ქვეყანასა ზედა. უფალო და მეუფეო, დაიფარე ნათლულები ესე ჩემი საფარველისა ქვეშე ფრთათა შენისა, წარსდევნე მისგან ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მისნი და აცხოვნე მისი სული, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყვარე, ამინ.

პატრიარქის ნათლულებმა კონსტანტინემ და ცოტნემ ასე ჩამოაყალიბეს სათქმელი: პატარები ვყოფილვართ, როცა პატრიარქმა მოგვნათლა; ეს დიდი პატივია, პასუხისმგებლობა და მუდმივი სიხარული ჩვენთვისო, გვითხრა დედამ. ჯერ კიდევ სკოლაში მისვლამდე ვნახეთ ნათლობის მოწმობები; წერა-კითხვა რომ ვისწავლეთ, თითის გაყოლებით ამოვიკითხეთ რა ეწერა ნათლობის მოწმობაში; ზეპირად ვიცით პატრიარქის დალოცვა და ვედრება ჩვენი კარგად ყოფნისათვის; ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ვიყოთ ღირსი პატრიარქის ნათლულობის.

მშობლები ინგა ჯალიაშვილი და ირაკლი კუბლაშვილი კი ხელს შეუწყობენ კონსტანტინეს და ცოტნეს შეასრულონ პატრიარქის დალოცვა და ამ ნიშნით აღზარდონ ისინი.

ჟუჟუნა ცხადაძე

იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში

3-12 იანვარი, 2024 წელი

2024 წლის 3-12 იანვარს ქ. ქუთაისში იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში, ჩატარდა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში.

ტურნირი მიმდინარეობდა შვეიცარიული და წრიული სისტემით, რომელშიც მონაწილეობდა 300-მდე მოჭადრაკე, იმერეთის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან.

აღნიშნულ ტურნირში სხვადასხვა კატეგორიაში მონაწილეობას ღებულობდა თერჯოლის ა(ა)იპ სპორტული სკოლის 18 მოჭადრაკე, პედაგოგი (მწვრთნელი) მერი ჩაფიჩაძე.

მე-5 თანრიგოსან გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა ლანა სოფრომაძემ (რუფოთის საჯარო სკოლა). აღსანიშნავია, რომ 7 შესაძლებლობიდან მან 7 ქულა მოიპოვა, ლანას გადაეცა პირველი ხარისხის დიპლომი, ოქროს მედალი და თასი. მან ასევე შეასრულა მე-4 თანრიგის ნორმატივი.

მე-3 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა გეგა გაბრიჭიძემ (თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლა). მან 7 შესაძლებლობიდან მოიპოვა 4.5 ქულა და ასევე დაამტკიცა მე-2 თანრიგი. მას გადაეცა შესაბამისი ხარისხის დიპლომი და მედალი. გეგა ასევე არის დასავლეთ ზონის „ტვინების ჭადრაკის პრიზიორი“.

მე-4 თანრიგოსან გოგონათა შორის მე-5 ადგილი დაიკავა ანა მაღლაკელიძემ (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) და მოიპოვა მე-3 თანრიგის ერთი ნორმატივი. კარგი შედეგი აჩვენეს მე-4 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის ლუკა სოფრომაძემ (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა), რომელმაც დაიმტკიცა მე-3 თანრიგის ნორმატივი და გაბრიელ გიორგაძემ (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა), რომელმაც მოიპოვა მე-3 თანრიგის ერთი ნორმატივი.

აღსანიშნავია, რომ 8 წელს გადაცილებულ უთანრიგო ჭაბუკთა და გოგონათა კატეგორიაში, რამდენიმე მოსწავლე ტურნირში პირველად ასპარეზობდა და მათ მოიპოვეს მე-5 თანრიგის ნორმატივი.

იცნობდეთ ახალ თანრიგოსნებს: მაჭარაშვილი იოანე (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა), კაპანაძე გელა (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა), მორალიშვილი გვანცა (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა), რობაქიძე თეკლა (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა), კლდიაშვილი გაბრიელი (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა), რობაქიძე გეგა (ჩხარის №2 საჯარო სკოლა).

პირველ წარმატებას ვულოცავთ მათ!

ელგუჯა გოგბერაშვილი,
სპორტსკოლის მთავარი სპეციალისტი

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები: 1. თერჯოლა. 2. თოვლი. 3. კარნავალი. 4. მეკვლე. 5. ხურჯინი. 6. სალამური. 7. შობა. 8. აკვანი. 9. ბიბლია. 10. შამპანური. 11. მრავალჟამიერი. 12. თაფლი. 13. სადღეგრძელო. 14. კვირა. 15. ჯილაგი. 16. ცოლიკაური. 17. გალაკტიონი. 18. ნაძვი. 19. ფეღლამუში. 20. ჩიჩილაკი.

უახლოესი მეზობლები ამირან დოლაკიძე, მალხაზ დოლაკიძე, ვალერიან გოგიაშვილი, ვიტალი გამეზარდაშვილი სამძიმარს უცხადებენ კახაბერ ბუცხრიკიძეს მამის

გოდერძი ბუცხრიკიძის

და დედის

მზია აბულაძის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები სამძიმარს უცხადებენ მზია ცქიფურიშვილს მეუღლის

ზურაბ (ჯელინი) კირკიტაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ თერჯოლის რედაქცია სამძიმარს უცხადებს მზია ცქიფურიშვილს მეუღლის

ზურაბ კირკიტაძის

გარდაცვალების გამო.

სიხარულითა და იმედით სავსე სახეები

ქრისტეშობისა და ახალი წლის დღეები გამორჩეულად სადღესასწაულოა ჩვენი ერისათვის.

ამ დღეებში ცხოვრებისაგან ყველაზე შეჭირვებული ადამიანიც კი ცდილობს, რომ უხაროდეს და იმედით ფიქრობს საახალწლო ნატვრების ასრულებაზე...

დღევანდელი ჩვენი გაზეთის ამ გვერდზე გთავაზობთ საახალწლო დღეების რამდენიმე ფოტოს, რომლებზედაც კარგად ჩანს სიხარულითა და იმედით სავსე ასეთი სახეები.

ყველა საახალწლო ნატვრა აგსრულებოდეთ!

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872